



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2015 წლის 20 აგვისტო

№ 400

თბილისი

**შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ახლად ემიტირებული
ობლიგაციებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ პუნქტის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 27 ივნისის N66/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ახლად ემიტირებულ ობლიგაციებს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი GE 2700603329.
2. წინამდებარე განკარგულების ამოქმედებიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ახლად ემიტირებული ობლიგაციებისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.



ოთარ ნადარაია